

რეაგირება

კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხთან შპს „ჯი პი პი“-ს მეფრინველეობის ფერმის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს N 21/6418 (27/10/2022) წერილის შენიშვნებზე

№	საკითხი	რეაგირება
1.	<p>გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილია შემდეგი სათაურით - „კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხთან მეფრინველეობის ფერმის (1 800 000 სადგომით ქათმებისთვის) პროექტი“, ამასთან, დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძვლის თავში (გვ. 9) აღნიშნულია, რომ „ახალ ფერმაში მოეწყობა 1 800 000 სადგომი ქათმებისთვის.“ თუმცა, დოკუმენტის სხვადასხვა თავებში მითითებულია, რომ ფრინველის სადგომი გათვლილია წელიწადში 1 800 000 ფრთა ქათამზე. ამასთან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ფერმის სადგომზე მოწყობილია 8 საფრინველე, თითოეული ზომით: 100x20 მ, ხოლო ტევადობით - 35 000 - 37 000 ფრთა ქათამი. აღნიშნულიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს ფერმის/საფრინველეების საერთო ტევადობა/სადგომების რაოდენობა, ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში და საქმიანობის დასახელება წარმოდგენილი უნდა იყოს ფრინველთა სადგომების რაოდენობის გათვალისწინებით;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია</p> <p>შპს „ჯი პი პი“-ს ახალ ფერმაში მოეწყობა 8 საფრინველე, თითოეული 35-37 ათასი ფრთა ტევადობით. ჯამში ახალი საფრინველეების ტევადობა იქნება 280 000-296 000 ფრთა (მაქსიმუმ 296 000 ფრთა). ფრინველის გამოზრდა მოხდება 35-42 დღის განმავლობაში. თუმცა გასათვალისწინებელია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილება და ტექნოლოგიური ციკლის სპეციფიურობა (მაგ. დასუფთავების პროცესი და სხვა). ამასთანავე ყველა საფრინველე მუდმივად, მაქსიმალური დატვირთვით არ იფუნქციონირებს. აქედან გამომდინარე ფრინველის გამოზრდის თითო ციკლი შესაძლებელია გაგრძელდეს დაახლოებით 2 თვე. შესაბამისად ფერმის წლიური წარმადობა შეადგენს 1 800 000 ფრთა ქათამს.</p> <p>იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 1.2. ასევე შესწორებულია თანდართული ზდგ-ს ნორმების პროექტი და არატექნიკური რეზუმე.</p>
2.	<p>გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ ზოგიერთ თავებში აღნიშნულია, რომ საფრინველეებში ფრინველის გამოზრდის ყოველი ციკლის დამთავრების შემდეგ საგების (ნახერხისა და სკორეს ნარევი) გატანა მოხდება დაუყოვნებლივ და მისი ტერიტორიაზე დასაწყობება დაგეგმილი არ არის. თუმცა 4.2 თავში მითითებულია, რომ კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ჩიპისთან“, რომელიც მოახდენს სკორეს შემდგომ მართვას. ხოლო ნახერხისა და სკორეს გატანა მოხდება თვეში დაახლოებით 1-2-ჯერ (გვ. 21). რაც შეეხება ფრინველის გამოზრდის ციკლს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული შეადგენს 35-42 დღეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს სკორეს შემდგომი მართვის საკითხი, მისი ტერიტორიიდან გატანის პერიოდულობის და 35-42 დღის შემდეგ ობიექტიდან გატანამდე მათი დროებით დასაწყობების შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>კომპანიაში დანერგილი საერთაშორისო "HACP" სერტიფიკატი კრძალავს ფერმაში ან/და მის სიახლოვეს ნახერხისა და სკორეს დასაწყობებას, აღნიშნულიდან გამომდინარე, (და ასევე არსებულ ფერმაში დანერგილი პრაქტიკიდან გამომდინარე) ახალი ფერმის ტერიტორიაზე არ მოხდება სკორესა და ნახერხის დასაწყობება.</p> <p>როგორც გზშ ანგარიშშია წარმოდგენილი ფრინველის ერთი ციკლი გრძელდება საშუალოდ 35-42 დღის განმავლობაში, ასევე ტექნოლოგიური ციკლის სპეციფიურობიდან გამომდინარე საფრინველეები იცლება საშუალოდ თვეში 1-2-ჯერ, პირობითად ერთ თვის განმავლობაში 4 საფრინველეში დასრულდება ციკლი, დაიცლება საფრინველე, მოხდება მისი დალაგება-დასუფთავება და</p>

		ადგილიდან ნარხებისა და სკორეს გამოტანა, თვის დასრულებამდე ან ახალი თვის დასაწყისში მოუწევს ხსენებული პროცედურების გავლა დანარჩენ 4 საფრინველს და ა.შ. შესაბამისად ჩანაწერი, რომ კონტრაქტორი კომპანია შპს „ჩიპი“ ნახერხსა და სკორეს ფერმიდან გაიტანს თვეში საშუალოდ 1-2-ჯერ სწორია.
3.	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „თითო ფრთა ფრინველის დარწყულების ნორმა არის 2 ლ/დღ. 24 საათში საჭირო იქნება დაახლოებით 60 მ3 წყალი. აქედან გამომდინარე ფრინველების დარწყულებისთვის საჭირო წყლის წლიური რაოდენობა იქნება 21 900 მ ³ /წელ.“ ამასთან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ფერმის სადგომზე მოწყობილია 8 საფრინველ, თითოეული ზომით: 100x20 მ, ხოლო ტევადობით - 35 000 - 37 000 ფრთა. დაზუსტებას საჭიროებს ფრინველთა დარწყულებისთვის საჭირო (დღე-ღამეში/წელიწადში) წყლის რაოდენობა (საფრინველებში განთავსებული ფრინველების რაოდენობისა და შესაბამისი გაანგარიშების მითითებით);	შენიშვნა გათვალისწინებულია დაშვებულია მექანიკური შეცდომა. „თითო ფრთა ფრინველის დარწყულების ნორმა არის 0,2 ლ/დღ და არა 2 ლ/დღ. 24 საათში, ფერმის მაქსიმალური დატვირთვის პირობებში საჭირო იქნება: $0,2 \times 296\,000 = 59\,200$ ლ/დღ, ანუ ≈ 60 მ ³ /დღ. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფერმის წლიური წარმადობა არის 1 800 000 ფრთა ქათამი, ხოლო თითო ფრთის გამოზრდა გრძელდება დაახლოებით 42 დღე. მაშინ წყლის წლიური ხარჯი იქნება: $0,2 \times 42 \times 1\,800\,000 = 15\,120\,000$ ლ/წელ, ანუ $= 15\,120$ მ ³ /წელ. იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 4.5.1.
4.	გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „სასაკლავოს მიმართულებით გადაადგილება შესაძლებელია მოხდეს დღეში ერთხელ. გადაადგილება სავარაუდოდ მოხდება ზაპესი-მცხეთა-კავთისხევი-გორის საავტომობილო გზის გავლით, თუმცა არსებობს ალტერნატიული გზა ქ. კასპის გავლით. მარშრუტის მიახლოებითი სიგრძე - 18 კმ. ტრანსპორტირება 4-5 რეისი/დღე-ში“ (თავი 4.8). დაზუსტებას საჭიროებს სასაკლავოს მიმართულებით დღეში მოსალოდნელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა (განხორციელდება დღეში ერთი, თუ 4-5 რეისი);	შენიშვნა გათვალისწინებულია სასაკლავოს მიმართულებით დღეში მოსალოდნელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა არის 4-5 რეისი. იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 4.8.
5.	გზშ-ის ანგარიშის თავში 4.7 („გამათბობელი სისტემის აღწერა“) მითითებულია, რომ ფრინველების ახალ სადგომში მოწყობილი იქნება „Thermoblock Heating unit 500 kha“-ის გამათბობელი სისტემა - 8 ერთეული. თუმცა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების გაანგარიშების თავებში გაფრქვევის წყაროდ განხილულია 9 საქვაბე ლუმელი. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში აღნიშნულია, რომ „საფრინველს გათბობა დაგეგმილია ნახშირის გამათბობელი სისტემის მეშვეობით, 8 ლუმელი საფრინველსთვის და ერთი ოფისისთვის,“ რომლის შესახებ გზშ-ის ანგარიშში ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. გარდა	შენიშვნა გათვალისწინებულია შპს „ჯი პი პი“-ს ახალ ფერმაში გამოყენებული იქნება 9 ერთეული ერთმანეთის იდენტური გამათბობელი სისტემა (8 მათგანი მოემსახურება საფრინველებს, 1 - მოემსახურება ოფისს). სისტემის ოპერირებით თვეში მოსალოდნელია დაახლოებით 3-5 კგ შლამის წარმოქმნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფერმის ექსპლუატაციის პროცესში გამათბობლების გამოყენების მაქსიმალური დრო

	ამისა, თავში 4.7 გაანგარიშებულია 8 გამათბობლის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი შლამის რაოდენობა. ზემოთნიშნულიდან გამომდინარე, გამათბობლების/საქვაბუ ღუმელების რაოდენობა საჭიროებს დაზუსტებას და დოკუმენტაციებში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისობაში მოყვანას;	შეიძლება იყოს 10 თვე, 9 გამათბობლის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი შლამის მაქსიმალური რაოდენობა იქნება $9 \times 5 \times 10 = 450$ კგ/წელ. იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 4.7.
6.	გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ თავში 4.7 აღნიშნულია, რომ „ქვიშა-ხრეშოვანი ფენის ზედა ნაწილში დაგროვილი შლამი ხრეშის ფენასთან ერთად ამოღებული და გატანილი იქნება შემდგომი მართვისათვის. სისტემის ოპერირებით თვეში მოსალოდნელია დაახლოებით 3-5 კგ (400 კგ/წელ) შლამის წარმოქმნა.“ ხოლო ნარჩენების მართვის გეგმის ცხრილში 14.4.3.1. მითითებულია, რომ ქვანახშირზე მომუშავე გამათბობლის ქვეშ მოთავსებულ ქვიშა-ხრეშოვანი ფენის ზედა ნაწილში დაგროვილი შლამის რაოდენობა წლიურად იქნება 35-60 კგ. შესაბამისად, წარმოქმნილი შლამის რაოდენობა საჭიროებს დაზუსტებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. ნარჩენების მართვის გეგმის ცხრილი 14.4.3.1.
7.	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „საფრინველეებისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში მნიშვნელოვანი საწარმოო ობიექტები წარმოდგენილი არ არის.“ მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 460 მეტრში მდებარეობს შპს „ჯეო ცემენტის“ საწარმო;	შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფები 4.1. და 8.18., ასევე ნახაზი 4.1.1.
8.	დოკუმენტაციის მიხედვით, გამათბობლები აღჭურვილი იქნება სველი გაწმენდის სისტემით, ხოლო ფილტრისთვის მიწოდებული წყალი მილის საშუალებით ჩადის გამათბობელი სისტემის ქვეშ მოთავსებულ ქვიშა-ხრეშოვან ფენილში, საიდანაც წყალი თვითდინებით გაიჟონება გრუნტში. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ნამუშევარი/ქვიშა-ხრეშოვან ფენილზე ჩამდინარე წყლის შემადგენლობა;	შენიშვნა გათვალისწინებულია როგორც ცნობილია ქვანახშირი წყალში არ იხსნება, ფილტრისთვის მიწოდებულ წყალში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ მყარი შეწონილი ნაწილაკები, მიახლოებითი კონცენტრაციით 300 მგ/ლ. იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 4.7.
9.	გზშ-ის ანგარიშის თავში 4.2 მითითებულია, რომ „მეფრინველეობის ფერმის ახალ სადგომზე გათვალისწინებულია 8 ერთეული საფრინველე, თითოეული ზომით: 100x20 მ.“ (გვ. 21) ხოლო ამავე თავში აღნიშნულია, რომ „საფრინველეები, სადაც ხდება ფრინველის გამოზრდა, არის ფართო გაბარიტიანი, ზომით 18 მ X 100 მ-ის.“ (გვ. 22). ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია ახალ ფერმაში მოწყობილია 8 ერთეული საფრინველე, თითოეული ზომით: 18 x 100 მ. იხ. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფი 4.2.
10.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის ცხრილები 6.2, 11.1 და 11.2 შესრულებული უნდა იყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების შესაბამისად. ხოლო გზშ-ის ანგარიშში	შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის შესაბამისი

	მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტთან;	პარაგრაფები.
11.	წარმოდგენილი GPS კოორდინატები არ არის ზუსტ თანხვედრაში საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვართან, რაც საჭიროებს კორექტირებას.	შენიშვნა გათვალისწინებულია. გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფში 4.1. ჩასწორებულია კოორდინატები. როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია აღწერილი, დაგეგმილი საქმიანობის პროცესში გამოყენებული იქნება საკადასტრო ნაკვეთის მხოლოდ ნაწილი. განახლებულ დოკუმენტში მოცემულია უშუალოდ ფერმის ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილის კუთხეთა წვეროების მიახლოებითი კოორდინატები. გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის როგორც საკადასტრო ნაკვეთის, ასევე უშუალოდ ფერმის ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილის სhp ფაილები.